ინფორმაცია

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიაში ვაკანტურ პოზიციაზე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე და 48-ე მუხლების შესაბამისად მოხელის გადაყვანის შესახებ (ჰორიზონტალური გადაყვანა).

იწყება განცხადებების მიღება, ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიაში დანართი N1-ით გათვალისწინებული, ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად, ჰორიზონტალური გადაყვანის წესით, ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიაში გადაყვანის მსურველი დასაქმებული მოხელეებიდან.

- განაცხადების წარსადგენად განსაზღვრულია 2 (ორი) სამუშაო დღე.

- განსაზღვრულ ვადაში განაცხადის დარეგისტრირების შემთხვევაში საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი კანდიდატთან ატარებს გასაუბრებას და მოხელის შეფასების შედეგებისა და კვალიფიკაციის გათვალისწინებით იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატის გადაყვანის შესახებ.

- თუ განსაზღვრულ ვადაში წარდგენილი არ იქნა არცერთი განაცხადი ან თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესით ვერ შეირჩა შესაბამისი კანდიდატი, საჯარო დაწესებულება აცხადებს კონკურსს ამ კანონის 34-ე მუხლით დადგენილი წესით.

- განაცხადების რეგისტრაცია იწარმოებს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიაში, ადამიანური რესურსების მართვისა და საორგანიზაციო საკითხების განყოფილებაში (HR) მ/წლის 7-8 აპრილს 10:00 საათიდან 18:00 საათამდე.

საკონტაქტო პირი:

მირანდა ჩანქსელიანი ტელ: 599-85-27-57

ადამიანური რესურსების მართვისა და საორგანიზაციო საკითხების განყოფილების, მეორე რანგის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (HR)